

ახალი ბანათლები

№35 (709) გაგონის 1998 წლიდან

19-25 ნოემბერი
ფასი 1 ლარი 50 თეთრი

www.axaliganatleba.ge



გვ. 4

ინკლუზიური ბანათლების სპეციალისტთა კომპეტენციების ასამბლეაზე

გვესაუბრება ჭანა კვაჭაძე,
მასწავლებელთა პროფესიული
ბანათების ეროვნული
ცენტრის ინკლუზიური და
სპეციალური
ბანათების კონსულტანტი



სამი წლის ანბარიში
საქართველოს
ბანათებისა
და მეცნიერების
სამინისტრო

გვერდი 2



მეცნიერებისა და ინოვაციების კვირეული
პირველად
საქართველოსა და
ქვეყანაში –
10-17 ნოემბერი

გვერდი 3



გვ. 8

შვედეთმა ომცა ცოდნა, რომელმაც ჩემი მომავალი ბანსაზღვრა

რუბრიკის „ქართული
სტუდენტები უცხოეთში“
სტუმარია
ნათია გამყრალიძე,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის მაგისტრანტი

პედაგოგთა დასახარებლად
ნატურალური რიცხვები.
რიცხვისა და სივრცის
ბარჩევა
მათემატიკა
(დაწყებითი საფეხური)

გვერდი 6

საბავშვო ფასი – 17.70ლ



ქართული ენის კრებულები

არაერთი სასწავლო მათემატიკის მეთოდური მასალის თარიღი და სავსებელი.

ნაშრომი და მათემატიკის კრებულები

საჩი „ნაშრომი და მათემატიკის კრებულები“ I-VI კლასების მსწავლავისათვის, „კითხვის საათი“ სასწავლო მათემატიკის მეთოდური მასალისათვის: სახელის ნათესავები, მათემატიკის მეთოდური მასალისათვის, სასწავლო მათემატიკის მეთოდური მასალისათვის, სასწავლო მათემატიკის მეთოდური მასალისათვის, სასწავლო მათემატიკის მეთოდური მასალისათვის.

საბავშვო ფასი – 30.40ლ



სიხა



მთავრადმოთ სავსებელი მათემატიკის მეთოდური მასალისათვის

არაერთი სასწავლო მათემატიკის მეთოდური მასალისათვის და სავსებელი. მათემატიკის მეთოდური მასალისათვის და სავსებელი. მათემატიკის მეთოდური მასალისათვის და სავსებელი.

fb.com/bakursulakauripublishing

არაერთი სასწავლო მათემატიკის მეთოდური მასალისათვის და სავსებელი. მათემატიკის მეთოდური მასალისათვის და სავსებელი.

მათემატიკის მეთოდური მასალისათვის და სავსებელი. მათემატიკის მეთოდური მასალისათვის და სავსებელი.



მთავრადმოთ სავსებელი მათემატიკის მეთოდური მასალისათვის – 9.90ლ



CMYK



პოლონური ენისა და კულტურის კაბინეტის გახსნის და კულტურის კაბინეტის გახსნის კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში პოლონური ენისა და კულტურის კაბინეტი კსუ-ს კანცლერმა ვახტანგ წიგნივაძემ და პოლონეთის რესპუბლიკის საელჩოს წარმომადგენელმა მარცინ ჟოჰოვსკიმ საზეიმოდ გახსნეს.

კაბინეტის შექმნის ძირითად მიზანს საქართველო-პოლონეთის შორის ურთიერთთანამშრომლობის განვითარება წარმოადგენს. დამსწრე საზოგადოებას, სტუმრებსა და სტუდენტებს კსუ-ს კანცლერმა კაბინეტის გახსნა მიულოცა და იმედი გამოთქვა, რომ კაბინეტი ხელს შეუწყობს საინტერესო პროექტების განხორციელებას და ღონისძიებების ჩატარებას.

კსუ-ს რექტორის მოადგილემ, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, მარინა გედევანიშვილმა, სტუმრებს უნივერსიტეტის დაარსებისა და განვითარების ისტორია გააცნო.

აღსანიშნავია, რომ კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი პოლონური ენის შემსწავლელ კურსებს უკვე ორი წელია ახორციელებს, სადაც ნებისმიერ სტუდენტს საშუალება აქვს, პოლონური ენა აბსოლუტურად უსასყიდლოდ შეისწავლოს.

კაბინეტის გახსნის საზეიმო ცერემონიის ფარგლებში, კსუ-ს სტუდენტებმა პრეზენტაციები და ვიდეომასალები წარმოუდგინეს დამსწრე სა-

ზოგადოებას.

მარცინ ჟოჰოვსკიმ იმედი გამოთქვა, რომ კაბინეტის არსებობა დამატებითი მოტივაცია იქნება სტუდენტებისთვის, რათა ისინი პოლონურ ენას დაეუფლონ. მან უნივერსიტეტის კანცლერს საქართველოში მცხოვრები პოლონელი ხელოვანების შესახებ წიგნიც უსახსოვრა.

ახლად გახსნილ კაბინეტში უკვე გამოიფინა თემატური ფოტოები და განთავსდა სახელმძღვანელოები, რომლებიც ხელს შეუწყობს სტუდენტების პრაქტიკული მეცადინეობების მაღალ დონეზე ჩატარებას.



საბი წლის ანგარიში



საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

გაზრდილი ბიუჯეტის ფარგლებში, განათლებისა და მეცნიერების განვითარებისთვის განხორციელებულ პროექტებზე თამარ სანიკიძემ მთავრობის წევრებს, დეპუტატებს, განათლების სფეროს, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებს და მოწვეულ სტუმრებს ვრცელი პრეზენტაცია წარუდგინა. მინისტრმა დეტალურად ისაუბრა ხელმისაწვდომი და ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფისთვის გადადგმულ ნაბიჯებზე როგორც ზოგადი, ასევე პროფესიული, უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების მიმართულებით.

მნიშვნელოვანია, რომ „2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონპროექტით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსათვის გამოყოფილი ასიგნებები, 2012 წელთან შედარებით, 55.6%-ით იზრდება.

ზოგადი განათლება

- „2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონპროექტით, ზოგად განათლებაზე მიმართული სახსრები, 2012 წელთან შედარებით, 45.8%-ით იზრდება;
- გაიზარდა ხელმისაწვდომობა ზოგად განათლებაზე;
- 500 000-მდე მოსწავლეს უსასყიდლოდ გადაეცემა სახელმძღვანელო და რეკუიზი;
- 1150 საჯარო სკოლის 60 000-ზე მეტი მოსწავლე უზრუნველყოფილია ტრანსპორტით. შედეგად, დასწრების მაჩვენებელი 95%-ს აჭარბებს;
- ზოგად განათლებას იღებენ სასჯელალსრულების დაწესებულებებში მყოფი პირები;
- დაფინანსებულია სასკოლო ინიციატივების ნახალისების 106 პროექტი, დაფინანსებული პროექტების რაოდენობა წლის ბოლომდე გაიზარდება;
- განათლების ყველა საფეხურზე ვითარდება ინკლუზიური განათლება. 966 სპეცმასწავლებელი 5000-მდე სსსმ მოსწავლეს ემსახურება. ილიას უნივერსიტეტში დაიწყო სპეცმასწავლებლის სამაგისტრო პროგრამა, ხოლო 35 საჯარო სკოლაში ადაპტირებული გარემო მოეწყო. თბილისსა და რეგიონებში გაიხსნა ინტეგრირებული კლასები, პირველად დაიბეჭდა სახელმძღვანელოები ბრაილის შრიფტით. ყვესტური ენის გასავითარებლად შეიქმნა მეიოდოლოგია და დამხმარე სახელმძღვანელოები, ლეიკემიით დაავადებული ბავშვებისთვის კი ინჰალირაციის კლინიკაში სპეციალური კლასი ამოქმედდა;
- წარმატებით დასრულდა სკოლების ინტერნეტიზაციის პროგრამა;

• განხორციელდა მანდატურის სამსახურის ძირეული რეფორმა. შეიქმნა ფსიქოლოგიური ცენტრები, მანდატურის სამსახურის ბაზაზე ამოქმედდა პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროგრამა;

• 300-მდე სკოლაში მოეწყო ექიმის კაბინეტი, რაც აქტიურად გრძელდება;

• 2013-2015 წლებში, 1069 სკოლას ჩაუტარდა სხვადასხვა სახის სარეაბილიტაციო სამუშაო. დასრულდა 10, მიმდინარეობს 8 ახალი სკოლის მშენებლობა და 20 სკოლის პროექტირება, რომელთაგან 6-ის მშენებლობა წლის ბოლოსათვის დაიწყება. აშშ-ს ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის მეორე კომპაქტის ფარგლებში, დაგეგმილია 100-მდე საჯარო სკოლის რეაბილიტაცია. მიმდინარეობს ოკუპირებულ ტერიტორიებთან გამოყოფილი ხაზის მიმდებარე სოფლების სკოლების რეაბილიტაციის პროცესი. რეაბილიტაცია ჩაუტარდა 18 საზღვრისპირა სკოლას, დაგეგმილია კიდევ 12 სკოლის რეაბილიტაცია. აქტიურად მიმდინარეობს სკოლების აღჭურვა. 2013-2015 წლებში სასკოლო ინვენტარით და ავეჯით 2000-მდე საჯარო სკოლა აღიჭურვა;

• ამოქმედდა მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემა. 2013 წელს მასწავლებლის საბაზო ხელფასმა 70 ლარით მოიმატა, მომდევნო ზრდა განხორციელდა პროფესიული განვითარების სქემის ფარგლებში. 2015-2016 წლებში საბაზო ხელფასი კიდევ ორ ეტაპად იზრდება. მზარდი იქნება მასწავლებლების ანაზღაურება სხვადასხვა კარიერულ საფეხურზე. შესაბამისად, მასწავლებლის საბაზო ხელფასი, დანამატების გარეშე, 2016 წლისათვის, ჯამში, 70%-ით გაიზრდება. საბაზო ხელფასისა და დანამატების ზრდის შესაბამისად, 2016-2017 აკადემიური წლისათვის, მასწავლებლის საშუალო ხელფასი საქართველოში არსებულ საშუალო ხელფასზე მაღალი იქნება.

• ამუშავებული პროგრამების შედეგად, 60%-ით შემცირდა ოჯახების დანახარჯი ზოგად განათლებაზე, 95%-ით გაიზარდა გაკვეთილებზე დასწრების მაჩვენებელი და 20%-ით გაუმჯობესდა სწავლა-სწავლების შედეგები.

პროფესიული განათლება

- „2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონპროექტით, პროფესიულ განათლებაზე მიმართული სახსრები, 2012 წელთან შედარებით, 83.0%-ით იზრდება;
- 2013 წლიდან სახელმწიფო პროფესიულ განათლებას სრულად აფინანსებს – 2013-2015 წლებში სახელმწიფო დაფინანსებით 27 000-მდე სტუდენტმა ისარგებლა;

• მიმდინარეობს მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა. შემუშავდა 900 მოდული, ამოქმედდა 54 პროგრამა. დამსაქმებელთა მონაწილეობით, 200-ზე მეტი პროფესიული სტანდარტი განახლდა. მოდულების შესაბამისად, კოლეჯები აღიჭურვა და გადაიარაღდა საჭირო მასალითა და ინვენტარით;

• ათასწლეულის გამოწვევის ფონდ-საქართველოს პროექტის ფარგლებში, პროფესიული პროგრამები განვითარდება საინჟინრო, ტექნოლოგიურ, სასოფლო-სამეურნეო და ტურიზმის მიმართულებით;

• კოლეჯებში ინერგება ხარისხის მართვის ევროპული ფონდის (EFQM) მოდელი. მიმდინარე წელს ორმა სახელმწიფო კოლეჯმა (ფოთი, ქუთაისი) მოიპოვა ISO სერტიფიკატი;

• მიმდინარეობს მუშაობა დუალური სწავლების ელემენტების დანერგვაზე;

• 2013 წელს დაიწყო ინკლუზიური პროფესიული განათლების დანერგვა. ადაპტირებულია გარემო უნივერსალური დიზაინით, განათლებას უფლებდა 300-მდე სსსმ სტუდენტი, მოქმედებს მრავალფეროვანი სერვისები (ყვესტური ენის თარჯიმნები, დამხმარე თანამშრომლები, ინკლუზიური განათლების სპეციალისტები), განვითარდა ადაპტირებული სასწავლო მასალები;

• აღიჭურვა და რეაბილიტაცია ჩაუტარდა ყველა კოლეჯს. 17 კოლეჯში მიმდინარეობს უნივერსალური დიზაინით ადაპტაცია. აგრარული მიმართულების განვითარებისთვის, სამ რეგიონში, მიმდინარეობს მეცხოველეობის ფერმის მშენებლობა და სხვ.;

• გაიხსნება 3 ახალი კოლეჯი, მიმდინარეობს სტუდენტური საერთო საცხოვრებლების მოწყობა.

უმაღლესი განათლება

- „2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონპროექტით, უმაღლეს განათლებაზე მისამართი სახსრები, 2012 წელთან შედარებით, 41.0%-ით იზრდება.
- სახელმწიფო პირდაპირი წესით ახორციელებს ბაკალავრიატის 21 პროგრამული მიმართულების დაფინანსებას;
- გასამაგდა სოციალური პროგრამების ფარგლებში დაფინანსებული სტუდენტების რაოდენობა. 3,5 ჯერ გაიზარდა დახარჯული თანხა;
- გაიზარდა სხვადასხვა პროგრამების ფარგლებში დაფინან-

საი წლის ანგარიში

სებული სტუდენტების როდენობა და დახარჯული თანხები. დაფინანსებას იღებს მოქმედი სტუდენტების საერთო რაოდენობის თითქმის ნახევარი;

- ❖ თითქმის სამჯერ გაიზარდა სტიპენდიანტი სტუდენტების რაოდენობა;
- ❖ შეიცვალა ავტორიზაცია-აკრედიტაციის სტანდარტები;
- ❖ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი გახდა განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოს ევროპული ქსელის – ENQA-ს აფილირებული წევრი;
- ❖ შემუშავდა მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩო პროექტი;
- ❖ მიმდინარეობს „ევროსტუდენტის“ პროექტის მოსამზადებელი სამუშაოები;
- ❖ „Erasmus+“-ის ფარგლებში მოპოვებული სტიპენდიების რაოდენობით, საქართველო 74 ქვეყანას შორის მე-7 ადგილზეა;
- ❖ ათასწლეულის კორპორაციის მეორე კომპაქტის ფარგლებში, 2015 წლის სექტემბრიდან სან-დიეგოს უნივერსიტეტის პროგრამები ამოქმედდა სამ ქართულ სახელმწიფო უნივერსიტეტში. პირველად საქართველოში, გაიცემა როგორც ქართული, ისე ამერიკული უნივერსიტეტის დიპლომები;
- ❖ სახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის 16,1 მლნ. ლარი დაიხარჯა.

მეცნიერების განვითარება

- ❖ „2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონპროექტით, მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობაზე მისამართი სახსრები, 2012 წელთან შედარებით, 82.0%-ით იზრდება;
- ❖ „2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტით, სამეცნიერო კვლევით დაწესებულებებზე მიმართული სახსრები, 2012 წელთან შედარებით, 164.0%-ით იზრდება;
- ❖ „2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონპროექტით, სსიპ – შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდზე მისამართი სახსრები, 2012 წელთან შედარებით, იზრდება 144.0%-ით;
- ❖ შემუშავდა საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი რამდენიმე მნიშვნელოვანი მიმართულებით;
- ❖ გაიზარდა სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების დაფინანსება და მეცნიერ თანამშრომელთა ხელფასები;
- ❖ დოქტორანტების დაფინანსება – გრანტის მაქსიმალური მოცულობა 21 000 ლარ;

- ❖ მოქმედებს სეზონური სკოლების სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო პროგრამები;
- ❖ ხელმისაწვდომი გახდა ELSEVIER BV-ის ელექტრონული ბაზები;
- ❖ 2 ქართული სამეცნიერო ჟურნალი ELSEVIER BV-ის ელექტრონული ჟურნალების ბაზაში განთავსდა;
- ❖ მიმდინარეობს სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების რეაბილიტაცია;
- ❖ პირველად საქართველოსა და კავკასიაში, გაიხსნა მეცნიერებისა და ინოვაციების კვირეული;
- ❖ 2013 წლიდან ხორციელდება თანამშრომლობა ისეთ კვლევით და საგანმანათლებლო საერთაშორისო ორგანიზაციებთან, როგორცაა: CERN, DUBNA, JUILICH CENTER, CNR, CNRS, STCU, ISTC, CRDF-Global, ELSEVIER BV;
- ❖ დასრულდა მოლაპარაკებები ევროკავშირთან „Horizon 2020“-ში ასოცირებულ წევრის სტატუსით თანამშრომლობისთვის, რაც გულისხმობს იმას, რომ საქართველოში ფიზიკური და იურიდიული პირები ისარგებლებენ იმავე უფლებებით, პრივილეგიებითა და პირობებით, რითაც სარგებლობენ ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების და ჰორიზონტი 2020-ის პროგრამასთან ასოცირებული ქვეყნების წარმომადგენლები.

მეცნიერებისა და ინოვაციების კვირეული

პირველად საქართველოსა და კავკასიაში, მეცნიერებისა და ინოვაციების კვირეული გაიხსნა. კვირეულის ჩატარების თარიღი სიმბოლურია – 10 ნოემბერს, მეცნიერების საერთაშორისო დღეს გაიხსნა და 17 ნოემბერს, სტუდენტთა საერთაშორისო დღეს დასრულდა

კვირეულის მიზნები:

- ❖ სამეცნიერო კვლევებისა და ინოვაციების ხელშეწყობა;
- ❖ ქვეყნის სამეცნიერო პოტენციალის წარმოჩენა;
- ❖ საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება;
- ❖ ქართველ და უცხოელ მკვლევართა მიღწევების გაცნობა ფართო საზოგადოებისათვის;
- ❖ ახალგაზრდა მკვლევართა მოტივაციის ზრდა;
- ❖ სტუდენტებისა და სკოლის მოსწავლეების დაინტერესება სამეცნიერო კვლევებითა და ინოვაციებით;
- ❖ განათლების, მეცნიერებისა და კულტურის დაახლოება. კვირეულის ფარგლებში, ჩატარდა რამდენიმე საერთაშორისო მასშტაბის ცენტრალური და, აგრეთვე, 100-ზე მეტი პარალელური ღონისძიება. კერძოდ, კონფერენციები, უახლესი სამეცნიერო გამოცემებისა და პროექტების პრეზენტაციები და გამოფენები, სამეცნიერო-პოპულარული ლექცია-სემინარები, ტრენინგები, ვორკშოპები, ღია კარის დღეები, სამეცნიერო კავებები, სახალისო მეცნიერება სკოლის მოსწავლეებისთვის და სხვ.

გამორჩეული და საინტერესო იყო კვირეულის ლოგო, რომელზეც გამოსახულია ქართველი ხელოვანის, ბაჩა ხოფერიას (Dr. Love) ურბანული ხელოვნების ნიმუში – „ზეზვა და შზია იღებენ სელფს“, რომელიც შთაგონებულია დანიში ამოჩენილი ჰომინინის რეკონსტრუქციით. კვირეულის ლოგო განასახიერებდა მეცნიერებისა და ინოვაციების განვითარების სიმბოლურ გზას უხსოვარი დროიდან დღემდე. „ზეზვა და შზია იღებენ სელფს“ გვახსენებს, რომ მეცნიერება ჩვენი ყოველდღიური, პრაქტიკული ცხოვრების განუყოფელი ნაწილია.

უპრეცედენტო იყო კვირეულის გეოგრაფია – თბილისი, თელავი, გორი, ქუთაისი, ზუგდიდი, ბათუმი, ახალციხე, ახალქალაქი, აბასთუმანი, იგოეთი, ალვანი, ზემო ვეჯინი.

კვირეულში მონაწილეობდნენ: საქართველოს სახელმწიფო და კერძო უნივერსიტეტები, სამეცნიერო-კვლევითი ცენტრები, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია და საქართველოს სოფლის მეურნეობის აკადემია, საქართველოს ეროვნული მუზეუმი, მაკროსოფტი-საქართველო, სან დიეგოს უნივერსიტეტი, შპრინგერის გამომცემლობა, აგრეთვე, მეცნიერების სფეროს უცხოელი წარმომადგენლები შემდეგი ქვეყნებიდან: აშშ, გერმანია, შვეიცარია და, რაც მთავარია, კვირეულში მონაწილეობდა ცერნის ბირთვული კვლევების ევროპული ცენტრი მოძრავი გამოფენით „ცერნი დღეს“ და „LHC ინტერაქტიული გვირაბი“. გამოფენამ, რომელიც პირველად გაიმართა კავკასიის რეგიონში, საშუალება მისცა დამთვალიერებლებს, წარმოედგინა შექმნათ მსოფლიო მნიშვნელობის ცენტრის საქმიანობასა და მის ბოლო აღმოჩენებზე. საამაყოა, რომ CERN-თან მჭიდროდ თანამშრომლობენ ქართული უნივერსიტეტები, ცერნის პროექტებში ჩართულნი არიან ქართველი პროფესორები და სტუდენტები.

წელს, კვირეულის ჩატარებით, ასე მასშტაბურად და საყოველთაოდ პირველად აღინიშნა ეს თარიღები, ხოლო მომავალი, 2016 წლიდან საფუძველი ჩაეყრება მნიშვნელოვან ტრადიციას: ჩვენი ქალაქი და ქვეყანა უმასპინძლებს მეცნიერებისა და ინოვაციების საერთაშორისო ფესტივალს და შუერთდება მსოფლიოს იმ ნამყვანი ქალაქების რიცხვს, სადაც ანალოგიური ფესტივალები ტარდება.



ბისა და ინოვაციების საერთაშორისო ფესტივალს და შუერთდება მსოფლიოს იმ ნამყვანი ქალაქების რიცხვს, სადაც ანალოგიური ფესტივალები ტარდება.

2015 წელს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ორგანიზებული კვირეული და 2016 წლის მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალი ნათელი გამოხატულება იყო იმ ზრუნვისა, რომელსაც სახელმწიფო იჩენს მეცნიერების სფეროს მიმართ, იმ პოზიტიური ძვრებისა და რეალური, ხელშეხსნები პროგრესისა, რომელსაც ბოლო წლებში მიაღწია ქვეყანამ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ორგანიზებული „მეცნიერებისა და ინოვაციების კვირეულის“ ფარგლებში, თბილისის მერიამ, სტაჟირების პროგრამის „დაიწყე კარიერა“ პრეზენტაცია გაიმართა.

პროგრამის ფარგლებში, თბილისის მერია დამამთავრებელი კურსის სტუდენტებს სამთავროს პრაქტიკას სთავაზობს მერიის მიერ დაფუძნებულ ორგანიზაციებში, სტუდენტის განათლების პროფილისა და პროფესიული მიმართულების გათვალისწინებით.

თბილისის მერიის ინიციატივა მიზნად ისახავს სტუდენტთა ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციების სრულყოფას და მათ მომზადებას დასაქმებისა და კარიერული ზრდისთვის. ამ ეტაპზე, განსაზღვრულია 300-მდე სტუდენტის პროფესიული პრაქტიკა.

პროგრამა თბილისის მერიის მოადგილემ ირაკლი ლექვიანძემ წარმოადგინა. სტაჟირების პროგრამის პრეზენტაციას დაესწრნენ: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე გიორგი შარვაშიძე, საჯარო სამსახურის ეროვნული ბიუროს, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და მერიის დაფუძნებული ორგანიზაციების წარმომადგენლები.

საქართველოსა და კავკასიაში პირველი მეცნიერებისა და ინოვაციების კვირეულის ფარგლებში, 100-ზე მეტი პარალელური ღონისძიება გაიმართა, მათ შორის – გამოფენა „სახა-

ლისო მეცნიერება სკოლის მოსწავლეთათვის“, რომელიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა თამარ სანიკიძემ შეიღებთან და მოსწავლეებთან ერთად დაათვალიერა. მინისტრმა თავადაც მიიღო მონაწილეობა სამეცნიერო ექსპერიმენტებში.

გამოფენაზე ქართული უნივერსიტეტების სტუდენტებმა მოსწავლეებს მეცნიერული თამაშები, ვიქტორინები, სამეცნიერო-პოპულარული ლექციები, უახლესი სამეცნიერო გამოცემები და პროექტები წარმოუდგინეს. მოსწავლეებს შესაძლებლობა ჰქონდათ ჩართულიყვნენ ექსპერიმენტებში და თავიანთი შესაძლებლობები მოეხიზჯათ.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის ი. გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმში (ქარვასლა), „მეცნიერებისა და ინოვაციების კვირეულის“ ფარგლებში, საზეიმოდ გაიხსნა სამეცნიერო კაფე.

კონობილმა ამერიკელმა პალეო-არქიტექტმა ჯონ ანტონი გურჩმა და ქართველმა მეცნიერებმა – ზაალ კოკაიამ და დავით ლორთქიფანიძემ ერთობლივი ლექცია წაიკითხეს თემაზე „სამყარო და სიცოცხლე, რეკონსტრუქცია და მოდელირება“.

ღონისძიებას ბევრი სტუმარი დაესწრო, მათ შორის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე გიორგი შარვაშიძე.

მეცნიერებისა და ინოვაციების კვირეულის ფარგლებში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ თამაზ მარსაგივილმა გახსნა კონფერენცია თემაზე: „Microsoft-ის ინოვაციები უმაღლეს განათლებაში 2015“.

კონფერენციაზე, რომელშიც მონაწილე სტუდენტებთან ერთად, რექტორები, კანცლერები, ხარისხის მართვის მენეჯერები, ტექნიკური მენეჯერები და ზოგადად, უნივერსიტეტების მმართველი, გადაწყვეტილების მიმღები პირები მონაწილეობდნენ, საუბარი იყო თანამედროვე ტექნოლოგიებზე.

რამდენიმე მიმართულებით წარმოდგენილი იყო პრეზენტაციები მათთვის, ვისთვისაც ტექნოლოგიები წარმოადგენს ინსტრუმენტს განათლებაში ეფექტური ცვლილების განსახორციელებლად. პარტნიორებთან ერთად, კომპანიის წარმომადგენლებმა ისაუბრეს უახლეს ტექნოლოგიებსა და საგანმანათლებლო პროგრამებზე მსოფლიოს წარმატებული ინტეგრაციების მაგალითებით. საუბარი შეეხო, ასევე, თუ რა სტრატეგიები არსებობს თანამედროვე განათლებაში ტექნოლოგიების დაწვრივის მიმართულებით და რა შესაძლებლობები – ქართული უნივერსიტეტებისთვის.

პროგრამული უზრუნველყოფისა და სერვისების მწარმოებელი ლიდერი კომპანია საგანმანათლებლო ინსტიტუტებთან აქტიურად თანამშრომლობს მსოფლიოს მასშტაბით. სწორედ Microsoft-ის და მისი პარტნიორების მიერ განვითარებული ინოვაციური მიდგომები უწყობს ხელს ინსტიტუტური ეფექტურობის ზრდას ათათასობით საგანმანათლებლო ორგანიზაციაში სწავლების, კვლევისა თუ ადმინისტრირების პროცესების მიმართულებით.



ქართული სტუდენტები უსსოთში

გარეშე ძნელია. რას ურჩევ საზღვარგარეთ ცოდნის გაღრმავებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მსურველებს.

- დიას, ნამდვილად გეთანხმებით, გზა შეიძლება მართლაც აერიოთ, თუ კარგად არ დაფიქრდნენ. პირველ რიგში, უნდა იცოდნენ ნამდვილად უნდათ თუ არა სწავლა საზღვარგარეთ და ეს სურვილი, არ აერიოთ გართობის სურვილში. ჩამოყალიბდნენ იმაში, თუ რა მიმართულებით უნდათ სწავლის გაგრძელება, რამდენად გამოიყენებენ იქ მიღებულ ცოდნას საქართველოში და, რაც მთავარია, სწორად შეარჩიონ უნივერსიტეტი, რადგან ზოგიერთ ევროპულ უნივერსიტეტში სწავლას მართლა არ აქვს აზრი, ტყუილად დროის დაკარგვაა. ასე რომ, კარგად უნდა გაეცნონ უნივერსიტეტებს, მათ სუსტ და ძლიერ მხარეებს, ნახონ სილაბუსები და თუ დარწმუნდებიან, რომ ეს მათთვის საინტერესო პროგრამაა, მაშინ ყველა ღონე უნდა იხმარონ, რომ სწავლა იქ გააგრძელონ.

- როგორ შეადარებ შედეგურ სტუდენტურ ცხოვრებას ქართულს - რა მსგავსება და განსხვავებაა შედეგურ და ქართულ სტუდენტურ ცხოვრებას შორის?

- შევედი ახალგაზრდების სტუდენტური ცხოვრება ძალიან აქტიურია, პრიორიტეტი კი რა თქმა უნდა, სწავლაა, თუმცა, არანაკლებ დროს უთმობენ გართობას, რადგან დრო სწორად აქვე განაწილებული. სპორტული აქტივობები ძალიან დიდ როლს თამაშობს მათ ცხოვრებაში, დასვენების დღეები კი, ამ ფრანგის პირდაპირი მნიშვნელობით, მთლიანად გათავისუფლებული აქვთ. პარასკევი, შაბათი, კვირა ყველგან რაღაც ივენთია, მიირთმევენ ლუდს. ყველასთვის საყვარელი აქტივობაა პიკნიკები და პარკებში თავშეყრა, რადგან შედეგეთში მზე და კარგი ამინდი არც თუ ისე ხშირად ანებიერებს მოსახლეობას.

ქართული სტუდენტური ცხოვრება ქართულია. საქართველოში შაბათიც, ხშირ შემთხვევაში, სასწავლო დღეა, სტუდენტები ვერ ითავისებენ როდისა დასვენება და როდის სწავლა. ამასთანავე, ქართველი სტუდენტები იშვიათად თუ ერთიანდებიან და ერთობლივად გეგმავენ როგორ გაატარონ დასვენების დღე, არადა ეს მართლაც აუცილებელი და სასარგებლოა ყველა სტუდენტისათვის. იქ ყველა ერთმანეთს ცნობს, რადგან შაბათ-

კვირას სულ ერთად ატარებენ. აქ კი, შეიძლება, წელიწადში, სულ რაღაც ორჯერ წავიდნენ ერთად ექსკურსიაზე.

- საზღვარგარეთ გატარებულ მცირე პერიოდშიც კი ადამიანი სხვანაირად აფასებს საკუთარ ღირებულებებს. როგორ ფიქრობ, მიგვიღებს ევროპა ისეთებს როგორებიც ვართ, თუ ძალიან ბევრი რამის გადახედვა და გადაფასება მოგვინევს? რა არის შენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი და ღირებული, რაც შედეგეთში გატარებულმა პერიოდმა მოგცა?

- შედეგეთში მივხვდი, როგორ ძლიერ მყვარებია ჩემი ქვეყანა. რაც შეეხება იმას, მიგვიღებს თუ არა ევროპა ისეთებს, როგორებიც ვართ, ამაზე პასუხს 2 წელიწადში ვაგეცემთ, რადგან სწორედ ახლა დავიწყე სწავლა ევროპაში ცოდნის მიმართულებით და ზუსტად იმას შევისწავლი, თუ რას მოითხოვს ევროპა ჩვენგან. ამის შემდეგ შედარების შესაძლებლობა მექნება. შედეგეთში გატარებულმა ერთ-მა წელიწადმა ძალიან ბევრი უცხოელი და ქართველი მეგობარი შემძინა. ისინი დღეს ჩემი უახლოესი ადამიანები არიან. ასევე მომცა ცოდნა, რომელმაც არსებითად განსაზღვრა ჩემი

მომავალი და გამხდა კონკურენტუნარიანი, რაც მთავარია, მასწავლა დამოუკიდებლად ცხოვრება და კრიტიკულ სიტუაციებში საკუთარ პრობლემებთან გამკლავება, რაც უმნიშვნელოვანესია ინდივიდის ცხოვრებაში.

- როგორ გესახება მომავალი, სად აპირებ დამკვიდრებას? როგორ ფიქრობ, საზღვარგარეთ მიღებული განათლება და დიპლომი საქართველოში დასაქმებაში ითამაშებს თუ არა გადამწყვეტ როლს?

- სიმართლე გითხრათ, მომავალზე ლაპარაკი არ მიყვარს, მაგრამ ერთი დანამდვილებით ვიცი - კიდევ ბევრის სწავლას ვაპირებ, მინდა, რაიმე ღირებული შედეგმა ჩემი ქვეყნისათვის. რაც შეეხება საზღვარგარეთის დიპლომს, ვფიქრობ, ეს უფრო საქართველოში შექმნილი მითია, თითქოს, საზღვარგარეთის დიპლომი, საქართველოში, გარანტირებულ სამსახურს გთავაზობს. რა თქმა უნდა, უცხოეთის დიპლომს გარკვეული პლუსები შეიძლება ჰქონდეს, თუმცა არა გადამწყვეტი.

ესაუბრა მანა შიფინი

იაკოვ გოგებაშვილი - 175

დაუპინყარი დღე

ოტია იოსელიანის სახელობის წყალტუბოს №1 საჯარო სკოლის (დირექტორი - ფაქიზო ფანჩულიძე-კუჭავა) მოსწავლეებმა და მასწავლებლებმა დიდი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის იაკოვ გოგებაშვილის 175-ე წლისთავი მწერლისავე სახლ-მუზეუმში, სოფელ ვარიანში, აღნიშნეს ორი აქტივობით: V^ბ კლასის ინტეგრირებული გაკვეთილი (ქართული, ჩვენი სამშობლო, მუსიკა - მასწავლებლები: ფაქიზო ფანჩულიძე, მზია ტუკვაძე, რუსუდან გრიგოლავა) და სკოლის დაწყებითი საფეხურის კათედრის მასწავლებელთა სამეცნიერო-მეთოდური კონფერენცია.

V^ბ კლასის მკითხველთა თეატრმა, მუზეუმის სააქტო დარბაზში, როლური თამაშით წარმოადგინა იაკოვ გოგებაშვილის „იავნანამ რა ჰქმნა?!“ მოსწავლეებმა შთამბეჭდავად გააცოცხლეს ზურაბ ქართველადის, მაგდანის, ქეთოს, ნაიბის და ლეკების სახეები. ასევე მიმოიხილეს მწერლის ბიოგრაფია და მისი წვლილი ქართული ორიგინალური სახელმძღვანელოების შექმნის საქმეში: „ქართული ანბანი“ (1863 წ.), „დედა ენა“ (1876 წ.), „ბუნების კარი“ (1868 წ.) და სხვ. ისაუბრეს შიდა ქართლის პოლიტიკურ, ეკონომიკურ ყოფაზე, მის ღირსშესანიშნაობებზე: გორის ციხეზე, უფლისციხეზე, ჰავასა და კლიმატზე; შეასრულეს ქართული ხალხური სიმღერა „იავნანა“.

გაკვეთილი დადებითად შეაფასეს საგნის მასწავლებლებმა, სკოლის დირექტორის მოადგილემ დალი სილაგაძემ, მშობლებმა. მუზეუმის თანამშრომლებმა კი სამახსოვრო ბარათი გამოგვეცეს შემდეგი წარწერით: „აღფრთოვანებული ვარ თქვენი გამოსვლით, ბავშვებო, როგორ კარგად წარმოაჩინეთ იაკობის შემოქმედება და მოღვაწეობა. დიდი

მადლობა თქვენს დირექტორს და სკოლის პედაგოგებს, მშობლებს ასეთი კარგი ბავშვების აღზრდისათვის“ - მუზეუმის გიდი მანანა ხიზანიძე. ვარიანი, 2015 წელი.

მოსწავლეები მასწავლებლებმა შეცვალეს. დაწყებითების კათედრის პედაგოგთა სამეცნიერო-მეთოდურ კონფერენციაზე 10 მოხსენება წაიკითხეს: იაკოვ გოგებაშვილი და რუსთველოლოგია (ფაქიზო ფანჩულიძე); დედაენის მნიშვნელობა და ადგილი სკოლაში (იამზე წულუკიძე); ადამიანის გაზიარების და საღმრთო გზის ძიება იაკოვ გოგებაშვილის შემოქმედებაში (ნანული სილაგაძე); ია და ქალი (თეა ჭუმბურიძე); იაკოვ გოგებაშვილი ქართული მუსიკალური ფოლკლორის მთავარი (ირმა გურუშვილი); ეკოლოგიური ცნობიერების ჩამოყალიბება სწავლების დაწყებით საფეხურზე (დალი სილაგაძე); შენდობისა და პატივის გრძნობის გამოშვება იაკოვ გოგებაშვილის ნაწარმოების მიხედვით (ნანი თუთისანი); ია დედანაში (აზა ნაფცვარიძე); ბუნება იაკოვ გოგებაშვილის შემოქმედებაში (მაია ქარქაშიძე); ოჯახის აღზრდით მისია იაკოვ გოგებაშვილის პედაგოგიურ მოძღვრებაში (ლელა ჩირგაძე).

კონფერენციის დასასრულს იაკობის ძეგლი ყვავილების თაიგულით შევამკეთ და სამახსოვრო ფოტოები გადავიღეთ; დღის ბოლოს საოცარი უფლისციხე და უფლისციხეში კლდის ქიმზე დაკიდებული წმინდა გიორგის ეკლესია მოვიხილეთ.

ფაქიზო ფანჩულიძე
სიბ ოტია იოსელიანის სახელობის
№1 საჯარო სკოლის დირექტორი



აკაკის წელი

„ჩემი ხატია სამშობლო“



2015 წელი, იუნესკოს მიერ, ჩვენი დიდი მგოსნის, აკაკი წერეთლის წლად გამოცხადდა. ამ თარიღის აღსანიშნავად საჩხერის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის (დირექტორი - ბერიკა დეკანოიძე) და მხარეთმცოდნეობის მუზეუმის (დირექტორი - თამარ კაციტაძე) ერთობლივი ღონისძიება გაიმართა - გამოფენა-ფესტივალი „ჩემი ხატია სამშობლო“.

მოსწავლე ახალგაზრდობის სახლმა, ლონისძიების ორგანიზატორმა, ხატვის მთავარ-

მა სპეციალისტმა კესო კაციტაძემ საკმაოდ შრომატევადი სამუშაო გასწიეს, რომ გამოფენა მასშტაბური და საინტერესო ყოფილიყო. ამიტომაც არ შემოიფარგლნენ მხოლოდ საჩხერელთა მონაწილეობით და მასში თბილისის, ონის, ზუგდიდის, ქიათურის, საჩხერის სამხატვრო სკოლებისა თუ სტუდიების ნორჩი შემოქმედებაც ჩართეს. ასზე მეტმა მოსწავლემ და მათმა პედაგოგებმა, აგრეთვე მხატვრებმა აჭარიდან - ნოდარ შავაძემ და დუგლას ზამთარაძემ - მრავალფეროვნება შემატეს ფესტივალს. ახალგაზრდების ნახატებში შესანიშნავად აისახა ჩვენი ქვეყნის ლამაზი პეიზაჟები და აკაკი წერეთლის შემოქმედებით შთაგონებული სახეები. ნახატების გარდა მრავლად იყო წარმოდგენილი თეატრის, გობელენი და კერამიკული პროდუქცია. გამოფენაში მონაწილეობა საჩხერის მკვიდრმა, საქართველოს დამსახურებულმა მხატვარმა ელგუჯა ჯონაძემ მიიღო, რაც განსაკუთრებით სასიხარულო აღმოჩნდა ახალგაზრდებისთვის.

ამ საინტერესო ვერსიასაც თბილისიდანაც ჰყავდა სტუმრები - პარლამენტის წევრი



გია ვოლსკი და კულტურის მინისტრის მრჩეველი ქეთევან დუმბაძე, აგრეთვე ქიათურ-საჩხერის მიტროპოლიტი მეუფე დანიელი, საჩხერის გამგებელი მალხაზ ზაზაძე, სამხატვრო სტუდიების ხელმძღვანელები და პედაგოგები.

დღე იმით დასრულდა, რომ გამოფენა-ფესტივალის თითოეულმა მონაწილემ იქვე, მუზეუმის ეზოში, შეასრულა ჩანახატები,

რომლებიც მოსწავლე ახალგაზრდობის სახლს გადაეცა სახსოვრად, რაც წლების შემდეგაც საუკეთესო მოსაგონარი იქნება თითოეული მათგანისთვის.

ცინლა ცაბაძე
საჩხერის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის უფროსი სპეციალისტი მასობრივ და ორგანიზაციულ დარგში



მასწავლებლის სამუშაო რეპეტიტივი

მასწავლებლის სამუშაო რეპეტიტივი პორტფოლიოს განუყოფელი ნაწილია. რეპეტიტივის სტრუქტურა საშუალებას აძლევს მასწავლებელს:

1. საჭიროებისამებრ შეავსოს გაკვეთილის დაგეგმვის სქემების მოკლე ან სრული ვარიანტები;
2. გააცნოს გაკვეთილის დაგეგმვის რეკომენდაციებს;
3. გააცნოს გაკვეთილის მოკლედ და დეტალურად დაგეგმვის ნიმუშებს.

4 ლარი

დაგეგმვის პორტფოლიო

დაგეგმვის პორტფოლიო საშუალებას აძლევს დაგეგმვას ადრინდეს, გააფორმოს, აღწეროს ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით მუხლით განსაზღვრული საქმეანოები.

გარდა შესავსები სქემებისა და ცხრილებისა, პორტფოლიო შეიცავს მეთოდურ რეკომენდაციებს, რაც დაეხმარება კლასის დაგეგმვა-განხორციელების ნარეკომენდაციებს და დაგეგმვის საქმეანოების განხორციელებას.

6 ლარი

ინტერაქტიური მეთოდების კრებული

კრებული ალწარმოდა ინტერაქტიური სწავლების მეთოდები; მოცემულია თითოეული მეთოდის გამოყენების ეტაპობრივი აღწერა; განხილულია, რა უნარებს ავითარებს თითოეული მეთოდი; დასახელებულია თითოეული მეთოდის გამოყენების წინაპირობა. კრებული თავმოყრილია 50-მდე მეთოდის აღწერა.

6 ლარი

შეკენის მსურველები დაგვიკავშირდით: 599 88 00 73, 295 80 23

მასწავლებლის გიგლიოთეკა

მნიშვნელოვანი შეკითხვები პასუხებით

საინფორმაციო გზამკვლევი აბაგულია კითხვა-პასუხის კონცეფციისა. მასში განხილულია მნიშვნელოვანი პრაქტიკული საკითხები: სწავლების, შეფასების, კომუნიკაციის, მოტივაციის, სასკოლო კონფლიქტების, სწავლის თეორიების და სასწავლო გარემოს აქტუალური საკითხებზე. წიგნი დაეხმარება მასწავლებლებს, პედაგოგებში ფაქულტეტის სტუდენტებს.

3 ლარი

კათედრის გაგების პორტფოლიო

კათედრის გაგების პორტფოლიო საშუალებას აძლევს კათედრის გაგების აღრიცხვას, გააფორმოს, აღწეროს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საქმეანოები. შესავსები სქემების, ცხრილებისა და კათედრის სფეროს სქემების გარდა, პორტფოლიო შეიცავს მეთოდურ რეკომენდაციებს, რაც დაეხმარება კათედრის ხელმძღვანელს პორტფოლიოს ნარეკომენდაციებს და მისი საქმეანოების განხორციელებას.

6 ლარი

მასწავლებლის კალენდარი

2015-2016 სასწავლო წლის კალენდარი ისეა შედგენილი, რომ მასწავლებელს მთელი სასწავლო წლის განმავლობაში შეუძლია დაგეგმოს და ჩინიშნოს მისთვის საჭირო და სასურველი აქტივობები და ინფორმაციები. კალენდარი ყოველკვირულად აწვდის მასწავლებლებს მისთვის მნიშვნელოვან პრაქტიკულ, პედაგოგიურ რჩევას თუ საჭირო ინფორმაციას.


კალენდარს ახლავს პირველი და მეორე სემესტრისთვის განკუთვნილი შესავსები გაკვეთილების ცხრილი, მნიშვნელოვანი აქტივობების რეკომენდაციები და თევისუფალი ფურცლები, რაც მოსახერხებელია, რათა მასწავლებელს ყველა საჭირო ინფორმაცია ერთად ჰქონდეს განთავსებული.

5.50 ლარი




მიმდინარეობს ხელმოწერა

მასწავლებლის ზიგნი



ზუპლიკაცია მოიცავს დაწყებითი კლასების მასწავლებლებისთვის სანტიმეტროს სპიტი-ხეხს. წიგნი მიმოიხილვით შედგები თემატიკა: ადრეული განათლების მნიშვნელობა გავსების შემდგომი განვითარებისთვის, სასკოლო მზარ-გის ცნება და დახმარების სტრატეგიები სკო-ლასთან ადაპტაციისთვის, სოციალურ-ემოცი-ური სფეროს განვითარების ხელშეწყობა და კონკრეტული რეკომენდაციები, სწავლის მო-ტივაციის ამაღლების ხელშეწყობა, სხვადასხვა მიზნების ფორმულირება, კრიტიკული აზროვნების, მათემატიკური უნარების, მეტყველების განვითარება და კონკრეტული რეკომენდაციები ზეპირმეტყვე-ლებისა და წერიტი დაგეგმვისთვის, კითხვის მნიშვნელობა და კითხვის უნარის სპეციფიკური დარღვევა-დისლექსია, ფიზიკ-ური განვითარების ხელშეწყობა და რეკომენდაციები მოძრაობის თანამართლების, განვითარებადი შეფასების საშუალება, მშობლებთან თანამშრომლობა, საკლასო ოთახის მოწყობის სპე-ციფიკა, კლასის მართვის სტრატეგიები.




წინამდებარე სახელმძღვანელოში ავტორების მიერ პრაქტიკულად არის ახსნილი ძირითადი, ფი-ზიკისა და ბიოლოგიის უმნიშვნელოვანესი სა-კითხავის სწავლების მეთოდები როგორც პირ-დაპირი (დედუქცირი), ისე არაპირდაპირი (ინფორმაციული) სწავლების თეორიისა და სე-ხელმძღვანელო დახმარება მასწავლებელს გაკვეთილის დაგეგმვისა და დაგეგმილი გაკ-ვეთილის ეფექტურად ჩატარების პროცესში.


თითოეულის ფასი - 7,30 ლარი



თამაზ ვასაძე ქართული აბიოგრაფიული პროზა ლიტერატურის შემსწავლელთათვის 4 ლარი



ნათა ახმეტელი, ნიკო მურღულია ისტორია ისტორია ტესტები ეროვნული გამოცდისთვის 8 ლარი



ქეთევან ტატიშვილი, ზურაბ ბერაია ფიზიკა თეორიული საკითხები და ტესტები საატესტატო გამოცდებისთვის 7 ლარი



შოთა რუსთაველი ვეფხისტყაოსანი ბაჩანა ბრეგვაძის პროზაული ვერსია სერიიდან ინტელექტი სკოლას ფასი - 15 ლარი



წიგნი I ქველი ქართული მწერლობა; წიგნი II „ვეფხისტყაოსანი“; წიგნი III XIX საუკუნის მწერლობა წიგნი IV XX საუკუნის მწერლობა



თამარ ბელიტაშვილი, ამირან გომართელი თითოეული კრებული ფასი - 12 ლარი



სამარჯიშო რვეული ქართულ მართლწერაში


10 ლარი

საყვანვილო ენციკლოპედია

თითო ტომის ფასი 12 ლარი

ავტომობილი სამურაი უდაზო გამომგონებები განძის ძიება გლადიატორები დრო და კალენდარი ქველი ეგვიპტე ევროპა

ვიკინგები ფიზიკა ახსნილი და აუხსნელი ფენომენები კომპაზი და ცათამბჯენები უკველესი ადამიანები მათემატიკა ქველი რომი ქველი საბერძნეთი



რა არის რა

ახალი ენციკლოპედიის სერიიდან „რა არის რა“ სპეციალურ ფასად. პირველი 10 სანომრადი თითო ტომს, 12 ცარილ ნაცვად, 7 ცარილ მიიღებს.



ხელმოწერის თანხა გადმორიხებით რეკვიზიტებზე: მიმღები - შპს „ახალი განათლება“, ს/კ 202058735, ა/ა GE93LB0113314052305000, ს/ს „ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22 ყურადღება! ფიზიკურად პირებზე, თანხის გადმორიცხვისას, მიუთითეთ პირადი ნომერი

დაწყებითი კლასებისთვის ფორმატი A2 (42x59.4 სმ) 1. წელიწადის დროები: შემოღობვა-ზამთარი 2. წელიწადის დროები: გაზაფხული-ზაფხული 3. ფერები 4. გარეული ცხოველები 5. გარეული ფრინველები 6. პროფესიები 7. შინური ცხოველები და ფრინველები 8. პირველი ნივთები 9. სოფლის ნივთები 10. ტრანსპორტი 11. წყლის პინაქლები 2.50 ლარი

მალატი კლასებისთვის ფორმატი A1 (59.4x84.1 სმ) 1. რელიგიის წარმოშობა 2. გარეული ფრინველები საძარტველოში 3. გარეული ცხოველები საძარტველოში 4. მწერები 5. ძველმეცნიერები საძარტველოში 6. საძარტველო მცენარეები 7. სიმბოლო წარმოშობა 8. ნიადაგი - სოციალისტური წყარო 9. რეპტილიები და დინოზოზოები 10. ზღვის დინოზოები 11. ძირითადი ელემენტების პერიოდული სისტემა 12. ძარტველი მეთოდის შეიარაღება და საბრძოლო ტექნიკა 13. მსოფლიოს მნიშვნელოვანი სოციალური მოვლენები 4 ლარი

მწერალთა კორტიტები (34x47 სმ) 1. მისიელ ჯაგანოვილი 2. გიორგი ლომიძე 3. ირაკლი აბაშიძე 4. ნოდარ დუმბაძე 5. პაპი ნეკრეთელი 6. კონსტანტინე გამსახურდია 7. პოლო ნაზვილი 8. სულხან-საბა ორბელიანი 9. პოლიკარპე ქაჩაბაძე 10. გურამ რეპულიშვილი 11. დავით გურამიშვილი 12. გიორგი 13. რევაზ ინანიშვილი 14. თეიმურაზ I 15. ვახტანგ VI 16. გიორგი მერაბული 17. გრიგოლ ორბელიანი 18. დავით აღმაშენებელი 4 ლარი

რეპროდუქციები 1. ჰერკულის უფრო - შპს-ში დავითი 2. მწველთა თანამდებობა - დომინიკო ბირლანდო 3. ადელ ბლუნ-გაუპინის პორტრეტი - გუსტავ კლიმტი 4. მინიგები - დიეგო ველასკესი 5. დელფინი სიბილა - მიქელანჯელო 6. მხატვრის ბავი - კლოდ მონე 7. უკლები შვილის დაბრუნება - რეზინდელტი 8. სანტელა - ოგიუსტ რენუარი 9. საპირის გასინება გრან შატის კუნძულზე - ჟორჟ სიორა 6.5 ლარი

მითითებულია ერთი ცალის ფასი

თემატური კლასიკები



გვკითხეთ, ვინ ვართ ან საიდან ვართ...

კოლეგებთან ერთად ყაზბეგიდან ვბრუნდებოდით, გზად მცხეთაში გაეჩერდით. ექსკურსიების პერიოდი იყო და იქაურობა ხალხით იყო სავსე. მამნი მომიხდა ეკითხათ და გულში ვამბობდი...

– გვკითხეთ, გვკითხეთ, გვკითხეთ! და გიპასუხებთ: ჩვენი მთელი საქართველო ვართ, ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხის წარმომადგენლები.

საიდან ვართ? – საზღვრისპირა ქალაქიდან, სადაც ქართული მოსახლეობა, დაახლოებით, მხოლოდ 5%-ია. იმ ქალაქიდან, სადაც ზამთარი თითქმის 6 თვე გრძელდება.

რას ვსაქმიანობთ? – პედაგოგები ვართ, იმ განსხვავებით, რომ ჩვენს მოსწავლეებს ბევრად მეტი ენერჯია, სითბო, სიყვარული და მზრუნველობა სჭირდებათ.

მე ამაყი ვარ! – მკითხეთ და გიპასუხებთ...

ნაყოფი გომგვარების სახელოსანი ძ. ნინოშინდის №4 საჯარო სკოლა

№4 საჯარო სკოლა ერთი ქართული სკოლაა, ქალაქ ნინოშინდის დანარჩენ სამ სკოლას შორის. მისი დირექტორი, ახალგაზრდა ქალბატონი, **ლელა ხითარაშვილი** ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ სკოლა სამაგალითო იყოს არა მხოლოდ რეგიონში, არამედ ქვეყნის მასშტაბით. მას მხარში უდგას სკოლის ადმინისტრაცია, პედაგოგები და ადგილობრივი რესურსცენტრის ხელმძღვანელობა.

ქალბატონი ლელა ჭკვიანი, გულისხმიერი, შრომისმოყვარე და კარგი ორგანიზატორია. მინიციის, რომ სკოლის წარმატება კვალიფიციური კადრებითაა განპირობებული. პედაგოგთა თითქმის ნახევარს უფროსი მასწავლებლის სტატუსი მიენიჭა. ადვილი წარმოსადგენია, როგორი სიყვარულით მუშაობენ **გურამ კეციშვილი**, **ეკა ხმალაძე** და დირექტორის მოადგილე **ნინო ტაბაჭაძე**, რომელთაც აღნიშნული სკოლა აქვთ დამთავრებული (რა ეტაპები განვლო სკოლამ ცალკე სტატიის თემაა, ახლა დღევანდელი სახეზე ვისაუბრებ). რვა პედაგოგი პროგრამა „ასწავლე საქართველოსთვის“ მონაწილეა. ისინი აქ საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოვიდნენ სამუშაოდ და ვფიქრობ, პირნათლად ასრულებენ თავიანთ საქმეს. ასევე აღსანიშნავია ის პედაგოგები, რომლებიც პროფესიის სიყვარულიდან გამომდინარე, ოჯახებით გადმოვიდნენ საცხოვრებლად მეზობელი რეგიონებიდან.

სკოლაში 150-მდე მოსწავლეა. მათგან უმრავლესობა წმინდა ნინოს სახელობის ობოლ

და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა სახლიდანაა. პანსიონატი, **სახლის მთავარების კოპოსი სპირიდონის** თაოსნობითაა დაარსებული. მაღლობა მას! ეთნიკურად სომხურ რეგიონში ახლა გაცილებით მეტი ქართული სიტყვა ისმის, ვიდრე რამდენიმე წლის წინ. აქ ქართული სიტყვის ხშირი გაუღერება აუცილებელია ადგილობრივი მოსახლეობის ინტეგრირებისთვის დანარჩენ საქართველოს მოქალაქეებთან. სასიხარულოა, რომ რამდენიმე მოსწავლე სომხური ოჯახიდანაა, მათ განათლების მიღება სახელმწიფო ენაზე გადანიშნულ და წარმატებით ახერხებენ.

თანამშრომლებს შორის მისაბაძი ურთიერთობაა. უმტკივნეულოდ მიმდინარეობს აზრთა გაცვლა-გამოცვლა, გამოცდილების გაზიარება, საკუთარი მეთოდების შეთავაზება, დიდი პროექტების განხორციელებისას ერთმანეთის გვერდით დგომა. ადმინისტრაცია დროულად აცნობს თანამშრომლებს განათლების სფეროს სიახლეებს – პედაგოგთათვის მიმდინარე ტრენინგებს, ახალ მეთოდურ სახელმძღვანელოებსა და სხვადასხვა გამოცხადებულ კონკურსებს. ყველა თანამშრომლისთვის ხელმისაწვდომია სკოლის ინტერნეტსივრცე და სხვადასხვა სასწავლო რესურსი. ბიბლიოთეკა შეიცავს ახალგაზრდული წიგნებით. სკოლა აღჭურვილია საჭირო ინვენტარით.

გასული სასწავლო წელი მეტად ნაყოფიერი იყო, ვფიქრობ ნელსაც წარმატებას მივაღწიეთ. ჩატარდა რამდენიმე ღია, სამოდელო და ინტეგრირებული გაკვეთილი, საახალწლო და გამოსაშვები ღონისძიებები; მოეწყო მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენები; უფროსკლასელებისთვის მთელი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა და ნელსაც გრძელდება კინოკლასიკის ჩვენება და განხილვა; მოსწავლეებმა გამარჯვება მოიპოვეს ნინოშინდის მუნიციპალიტეტის სკოლებს შორის გამართულ სპორტულ შეჯიბრში; წარმატებას მიაღწიეს და საჩუქრები დაიმსახურეს ფოტო და ნახატების საქალაქთშორისო კონკურსებზე, წყლის ფესტივალზე, სადაც ასევე გამარჯვება ერგოთ; რამდენიმე მოსწავლემ მონაწილეობა მიიღო ეროვნულ და საერთაშორისო ოლიმპიადებში; ახალგაზრდა პედაგოგების, **თამუნა ჩარკვიანი** და **თეონა ლომიტაშვილის** მოწვევით სტუმრად გვეყავა მწერალი **დათო ტურაშვილი**. მისმა საინტერესო საუბარმა კითხვის მოტივაცია ნამდვილად გაზარდა მოსწავლეებში; დაწყებითი კლასის მოსწავლეებს შორის ჩატარდა კალიგრაფიის კონკურსი. მაღალი ინტერესიდან

გამომდინარე, მის შესახებ ინფორმაცია მასწავლებლის სახლის facebook გვერდზე აიტვირთა; სკოლის დიდი გამარჯვება იყო „ეტალონი-ში“ ჩვენი მოსწავლის პირველ ადგილზე გასვლა. კურსდამთავრებულთაგან სამი სტუდენტი გახდა. იმედი გვაქვს, მომავალ წელს მეტი გავიხარებს გულს.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ღონისძიება, რომელიც ქართული ენის და ლიტერატურის პედაგოგმა **ეკატერინე ლენიაშვილმა** გამართა ქალაქის კულტურის სახლში. მას ორგანიზებაში ეხმარებოდნენ კოლეგა **ნინო ტაბაჭაძე** და მოსწავლეთა აღმზრდელები. რამდენიმედიანმა დაუღალავმა შრომამ, პედაგოგის და ბავშვების მონდომებამ სასურველი შედეგი გამოიღო. მაისის ერთ მშენიერ დღეს ქართული ზეიმის სანახავად მოსული სტუმრებით გაივსო დარბაზი. მაყურებელთა შორის იყვნენ სტანდარტული რესურსცენტრის, გამგეობის და ადგილობრივი ტელევიზიის წარმომადგენლები. საქართველოს დამოუკიდებლობის დღისა და ქვეყნისთვის დაღუპულ მამულიშვილთა საპატივცემულოდ გამართულმა ღონისძიებამ ხანგრძლივი თვალცრემლიანი ტაში და ოვაცია დაიმსახურა.

ასეთივე წარმატებული სასწავლო წელი მიხდა გისურვით ძვირფასო კოლეგები და საყვარელი ბავშვები.

რა თქმა უნდა, ყველა პედაგოგის დამსახურება ვერ ავსახებ, მაგრამ ნაწილობრივ მაინც დაგეხადეთ ჩვენი სკოლის ცხოვრება. მოხარული ვიქნებით, თუ ამ წერილის ნაკითხვის შემდეგ ბევრს გაუჩნდება ჩვენი სტუმრობის სურვილი.

ჩამოსული პედაგოგების სახელით, დიდი მაღლობა მიხდა გადაუხადო სკოლის დირექტორს **ლელა ხითარაშვილს** და რესურსცენტრის უფროსს **დავით ზედგინიძეს**, ჩვენს მართ გამომხილველ ყურადღებისათვის; დამხედურ პედაგოგებს – თბილი გარემოსთვის; საკუთარი ოჯახის წევრებს, რომლებმაც გულისწყვეტით, მაგრამ სიამაყით გამოგვაცილეს; პროგრამა „ასწავლე საქართველოსთვის“ ხელმძღვანელობას, რომ მოგვეცა შესაძლებლობა, აქედან სხვანაირად დაგვეხანა სამშობლო, როგორც ჩვენი აქაური კოლეგა ამბობს: „აქ საქართველო სხვანაირად უყვართ, ...თითქოს უფრო მეტად“.

ნინო კუპატაძე

ქ. ნინოშინდის №4 საჯარო სკოლის დაწყებითი კლასის პედაგოგი, პროგრამა „ასწავლე საქართველოსთვის“ მონაწილე

